

შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპ“

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 1

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 2

შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპი“ -ის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	2021	2020
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	39371	37369
სავაჭრო მოთხოვნები	8574	2175
გადახდილი ავანსები	4461	3163
მარაგები	125896	130284
სულ მოკლევადიანი აქტივები	178302	172991
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2032416	1961297
არამატერიალური აქტივები	1500	1500
სხვა გრძელვადიანი აქტივები	11869	28022
სულ გრძელვადიანი აქტივები	2045785	1990819
სულ აქტივები	2224087	2163810
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	16124	3245
საგადასახადო ვალდებულებები	5376	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3685	8482
სასესხო ვალდებულებები	113197	7472
სხვა ვალდებულებები	78494	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	216876	19199
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გადავადებული შემოსავალი	77289	97458
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1288607	1988169
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1365896	2085627
სულ ვალდებულებები	1582772	2104826
მთლიანი კაპიტალი		
კაპიტალი	95524	83655
გაუნაწილებელი მოგება	545791	-24671
სულ კაპიტალი	641315	58984
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2224087	2163810



შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(ლარი)

	2021	2020
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	177200	140282
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	539157	531273
სხვა შემოსავალი		2741
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-48690	-26536
საერთო მოგება	667667	647760
სხვა შემოსავალი	336988	25071
დასაქმებულთა ანაზღაურება	-188481	-137342
ცვეთა და ამორტიზაცია	-32336	-30557
საპროცენტო ხარჯი	-81712	-62038
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-323482	-555867
სულ საოპერაციო ხარჯი	-289023	-760733
სულ საოპერაციო მოგება	378644	-112973
სულ მოგება დაბეგვრამდე	378644	-112973
მოგების გადასახადი	-667	-7441
წმინდა მოგება	377977	-120414



შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპი“-ის დირექტორი
ლევან ხეცურიანი

შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
31 დეკემბერი 2019	309,517	100,670	-	410,187
გაცემული დივიდენდები		-4927		-4927
კაპიტალის სხვა ცვლილება		-326532		-326532
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		-19744		-19744
31 დეკემბერი 2020	309,517	-250,533		58,984
გაცემული დივიდენდები		-3779		-3779
კაპიტალის სხვა ცვლილება	36540			36540
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		549570		549570
31 დეკემბერი 2021	346,057	295,258		641,315



შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპი“-ის დირექტორი
ლევან ხეცურიანი

შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(ლარი)

	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	384708	-199612
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-382706	
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტს შორის	2002	-199612
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	37369	236981
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	39371	37369



შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპი“-ის დირექტორი
ლევან ხეცურიანი

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპი“ (შემდეგში „კომპანია“) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის საქმიანობა არის საიჯარო მომსახურება. შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპი“ არის შპს „ენ-დუო“-ს დედა კომპანია.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1 ანგარიშგების მომზადების და წარგენის საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას.

2.2 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში-ლარში, რომელიც წარმოადგებს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტა აღიარებულია ოპერაციის განხორციელების თარიღით არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. საკურსო სხვაობები აღიარებულია სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.6 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, თვითღირებულებას - დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს: მისი ნასყიდობის ფასს, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

2.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამებს, ლიცენზიებს.

2.8 სავაჭრო ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.9 სესხი

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯით. სესხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში აღებული სესხები გადაფასდება წლის ბოლოს, სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

2.10 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

2.11 ამონაგები

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.12 ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯის აღიარება ხდება გაწევისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

2.13 სახელფასო განაცემი

ხელფასები ექვემდებარება დარიცხვის იმავე პერიოდში რომელშიც თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

2.14 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.15 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა .

2.16 ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი და წრფივი მეთოდის შესაბამისად.

2.17 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის გატანის სანაგარიშგებო თვეში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა).

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	39371	37369
სულ	39371	37369

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8574	2175
-	-	-
სულ	8574	2175

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	69102	72769
სხვა	56794	57515
სულ	125896	130284

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	16124	3245
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3685	8482
საგადასახადო ვალდებულებები	5376	7472
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	113197	
სხვა ვალდებულებები	78494	
სულ	216876	19199

2.9 ნასესხები სახსრები და სხვა ვალდებულება

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გადავდებული შემოსავალი	77289	97458
გრძელვადიანი სესხი	1288607	1988169
სულ	1365896	2085627

2.10 საკუთარი კაპიტალი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
31 დეკემბერი 2019	309,517	100,670	-	410,187
გაცემული დივიდენდები		-4927		-4927
კაპიტალის სხვა ცვლილება		-326532		-326532
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		-19744		-19744
31 დეკემბერი 2020	309,517	-250,533		58,984
გაცემული დივიდენდები		-3779		-3779
კაპიტალის სხვა ცვლილება	36540			36540
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		549570		549570
31 დეკემბერი 2021	346,057	295,258		641,315

2.11 ამონაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	177200	140282
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	539157	531273
სხვა ამონაგები		2741
სულ	716357	674296

2.12 ხარჯი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
რპთ	48690	26536
დასაქმებულთა ანაზღაურება	188481	137342
ცვეთა და ამორტიზაცია	32336	30557
საპროცენტო ხარჯი	81712	62038
ადმინისტრაციული და სხვა	323482	555867
საოპერაციო ხარჯი		
სულ	674701	812340

